გუგული

გაიხსენე, რა იყო ფრინველების გამრავლების შესახებ.

ალბათ, გინახავს, როგორი **მონდომებით** იშენებენ ჩიტები ბუდეს გაზაფხულზე. შემდეგ კვერცხებს დებენ. გამოჩეკილ ბარტყებს უვლიან. ფრენას ასწავლიან. თუმცა არსებობს ერთი ფრინველი, რომელიც ბუდეს არ იშენებს. ის თავის ბარტყს სხვა ჩიტს აზრდევინებს. ვფიქრობ, მიხვდი, რომელ ფრინველზეა საუბარი. დიახ, ეს გუგულია. იგი ბევრ ქვეყანაში ბინადრობს, მათ შორის ჩვენთანაც.

მეცნიერებმა შეისწავლეს გუგულის ასეთი უცნაური ქცევა. გაირკვა, რომ იგი **სეზონზე** 12-იდან 20-ამდე კვერცხს დებს. მაგრამ ერთ ბუდეში მხოლოდ ერთ კვერცხს ტოვებს. ამისათვის ბეღურის მსგავსი პატარა ჩიტების სხვადასხვა ბუდეს ირჩევს. ფიქრობენ, ეს იმავე სახეობის ჩიტია, რომლის ბუდეშიც თვითონ გამოიჩეკა.

როგორ ახერხებს გუგული სხვაგან კვერცხის დადებას? იგი ჯერ შორიდან არჩევს ადგილს. როგორც კი შენიშნავს, რომ ჩიტმა ბუდე **დროებით** დატოვა, მაშინვე იქ ჩნდება. როგორც კი კვერცხს დადებს, სხვის კვერცხს ბუდიდან აგდებს და მიფრინავს.

როგორ იქცევა ჩიტი, როცა უკან ბრუნდება? იგი ხშირად ვერც ამჩნევს ამ ცვლილებას. შეიძლება, ბედსაც **ეგუება**. მაგრამ თუ გუგულს ბუდესთან მიუსწრებს, მაშინ მთელი ძალით ებრძვის. ასე ცდილობს საბუდრის დაცვას. ზოგჯერ გუგულის კვერცხს ძირს აგდებს. ზოგჯერ კი საერთოდ **გაეცლება** იქაურობას და ახალ ბუდეს იშენებს.

რა ისწავლე ახალი გუგულის შესახებ?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რომელი წინადადება გადმოსცემს ტექსტის ძირითად აზრს?

ა) გუგულის გამო ჩიტი თავის ბუდეს ტოვებს.

ბ) გუგული კვერცხს სხვა ჩიტის ბუდეში დებს.

გ) ჩიტი გუგულის კვერცხს ბუდიდან აგდებს.

2 მეორე აბზაციდან ვიგებთ:

ა) რატომ ტოვებს გუგული სხვა ჩიტის ბუდეში მხოლოდ ერთ კვერცხს.

ბ) რომელი ჩიტის ბუდეს ირჩევს გუგული თავისი კვერცხის დასადებად.

გ) რომელმა მეცნიერებმა შეისწავლეს გუგულის უცნაური თვისებები.

3 საკუთარ ბარტყს გუგული აზრდევინებს იმ სახეობის ჩიტს,

ა) რომელიც ადვილად ეგუება სხვის ბარტყს.

ა) რომლის ბუდეშიც თვითონ გამოიჩეკა.

გ) რომლის შეშინებასაც იოლად ახერხებს.

4 როდის ახერხებს გუგული სხვის ბუდეში კვერცხის დადებას?

ა) როცა ბუდეში ყველა ბარტყი გამოიჩეკება.

ბ) როცა ჩიტი დროებით ტოვებს თავის ბუდეს.

გ) როცა ჩიტი საერთოდ მიატოვებს ბუდეს.

5 რომელი ინფორმაცია შეესაბამება ტექსტს?

ა) გუგული ბარტყებს სხვის ბუდეში თვითონ ზრდის.

ბ) გუგული თავის ბარტყს სხვა ჩიტს აზრდევინებს.

გ) გუგული მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ბინადრობს.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ჩიტები **მონდომებით** შრომობენ, რათა ბუდე დროულად ააშენონ.

   ა) გულმოდგინედ. ბ) სწრაფად. გ) ფრთხილად.

2. გუგული **სეზონზე** 20-მდე კვერცხს დებს. **სეზონი** ნიშნავს:

   ა) კარგ ამინდს. ბ) ლამაზ ბუნებას. გ) წელიწადის დროს.

3. ჩიტი **დროებით** ტოვებს ბუდეს.

   ა) დიდი ხნით. ბ) ცოტა ხნით. გ) ხშირ-ხშირად.

4. ჩიტი ბედს **ეგუება**.

   ა) ენდობა. ბ) ეძებს. გ) ურიგდება.

5. გუგული კვერცხს დადებს თუ არა, მაშინვე **გაეცლება** ბუდეს.

   ა) აკვირდება. ბ) დაიკავებს. გ) მოშორდება.

2 რომელია საპირიპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) დროებით – სამუდამოდ. ბ) მსგავსად – ერთნაირად. გ) მხოლოდ – მარტო.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვა.

ჩიტი ცდილობს თავისი (*საბუდარი*) ---------- დაცვას.

2 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X- ით.

	X ***ალბად.***	☐ ***ალბათ.***
1.	☐ სწრაფად.	☐ სწრაფათ.
2.	☐ ზაფხულზე.	☐ ზაფხულში.
3.	☐ ბევრ ქვეყანაში.	☐ ბევრ ქვეყნებში.

გრამატიკა

3 **დაწერე ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: ის, რაც დაბრუნდა, არის დაბრუნებული.

1. ის, რაც ააშენეს, არის ----------. 2. ის, რაც დაიცვეს, არის ---------- .

4 **სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.**

არსებობს ერთი ფრინველი, ---------- ბუდეს არ იშენებს.

ა) ვინც. ბ) რაც. გ) რომელიც.

წერა

1 **ამოიწერე ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაცია გუგულის შესახებ და შეავსე ცხრილი.**

გუგული	
რას აკეთებს?	**რატომ?**
ნიმუში: *ბუდეს არ იშენებს.*	*იმიტომ, რომ თვითონ არ ზრდის ბარტყს.*
---	---
---	---
---	---
---	---
---	---

2 **მისწერე მეგობარს წერილი. უამბე, რა ისწავლე ახალი გუგულის შესახებ. გააცანი შენი დამოკიდებულება: რა მოგეწონა ან არ მოგეწონა და რატომ. გააფორმე ნამუშევარი შენი ნახატით.**